

რეზიუმე

საინვესტიციო პროცესების განვითარება საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებისა და ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის მნიშვნელოვანი ფაქტორია. მან უნდა უზრუნველყოს საწარმოთა ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა, შემოსავლების მაქსიმიზაცია, ფინანსური მდგრადობის მიღწევა.

სტატიაში განხილულია საინვესტიციო პროცესის ძირითადი ეტაპები, რომელიც იწყება მარკეტინგული კვლევებით და მთავრდება ინვესტირების საფუძველზე განხორციელებული ღონისძიებების გატარების შედეგად შემოსავლების მიღებით.

საკვანძო სიტყვები: საინვესტიციო პროცესი, ეტაპები, ეკონომიკური ზრდა, საინვესტიციო ეფექტი, სახსრების დაბანდება

Summary

Development of investment processes is an important factor in establishing market relations and economic prosperity of the country. It must ensure high growth of enterprise growth, maximization of revenues, financial sustainability.

The article discusses the main stages of the investment process, which starts with marketing research and ends with the revenue earned through the implementation of measures implemented on investment basis.

Keywords: investment process, stages, economic growth, investment effect, investment funds.

* * * * *

საინვესტიციო მენეჯმენტი მუდმივად ორიენტირებული უნდა იყოს საინვესტიციო სფეროში ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაზე საინვესტიციო პროცესის თითოეული მონაწილის საქმიანობის, მიზნებისა და ამოცანების სპეციფიკის გათვალისწინებით.


საინვესტიციო პროცესის დაწყება უშუალოდ დაკავშირებულია ინვესტორის მიერ სახსრების დაბანდების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებასთან. ამ დროიდანვე ინვესტორის ყურადღება და ძალისხმევა მიმართულია კაპიტალის სწრაფი ზრდისკენ, რაც დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ ინვესტიციების განხორციელების საწყის ეტაპზე ინვესტირებს, როგორც წესი, აქვთ შეზღუდული რაოდენობის თანხ-

ები, ამიტომაც მიისწრაფიან სახსრების სწრაფი მიღებისაკენ დროის შედარებით მოკლე განაკვეთში; შემდგომში ეტაპობრივად მნიშვნელოვანი ხდება კაპიტალის ზრდის ხარისხი და ინვესტიციისაგან მიმდინარე შემოსავლის მიღება, კაპიტალის შენარჩუნება და მდგრადი და ამასთან მაღალი შემოსავლის და მოგების მიღება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საინვესტიციო პროცესების ძირითადი ეტაპების კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა განისაზღვროს ამ პროცესის სახელმწიფო რეგულირების მიმართულებები. მეტად მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ მიმდინარე და საპროგნოზო ეტაპებზე მაკროეკონომიკური პარამეტრების დაგეგმვა დამყარებულია ორ მთავარ ფაქტორზე, რომელთაგან ერთ-ერთი არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა. ეს პროცესი განმტკიცებული უნდა იქნეს ფისკალური პოლიტიკის შესაბამისი ცვლილებებით, სტრუქტურული და ინსტიტუციური რეფორმებით, რამეთუ ეკონომიკის დროებითი გამოცოცხლების საფუძველზე უზრუნველყოფილი იქნეს გრძელვადიანი ზრდა საფინანსო-საბანკო სისტემის მონაწილეობით.

თავისი საფინანსო-საკრედიტო შინაარსით საინვესტიციო პროცესი, (როგორც ქვემოთ წარმოდგენილ ნახაზზეა ნაჩვენები) განზოგადებული ფორმით შედგება საკმაოდ მკვეთრად გამოხატული შვიდი ეტაპისაგან: **A** - მარკეტინგული გამოკვლევების ჩატარება; **B** - ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღება; **C** - თავისუფალი საკუთარი სახსრების ან საფინანსო ბაზარზე ინვესტიციების მოზიდვა; **D** - საწყისი საინვესტიციო დაბანდებანი; **E** - საწარმოო ეტაპი; **F** - სასაქონლო ეტაპი; **G** - ფულადი ეტაპი. ინვესტირების ყველა აღნიშნული ეტაპი ხორციელდება თავის კონკურენტულ ბაზარზე.

უფრო დეტალურად განვიხილოთ ზემოთ აღნიშნული ეტაპები. მარკეტინგული გამოკვლევები მოიცავს წარმოების მოცულობის და ეფექტურობის გაზრდისათვის საქონლის, კაპიტალის და წარმოების საშუალებების ბაზრების შესწავლას (ეტაპი **A**). საინვესტიციო პროცესის სახელმწიფო რეგულირება ამ ეტაპზე მოიცავს საწარმოების მონაწილეობის სტიმულირებას სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების შემუშავების პროცესში. მასტიმულირებელი ინსტრუმენტების სახით



შეიძლება განხილულ იქნას მარკეტინგული გამოკვლევების შედეგების, ფასების, ბაზრის კონიუნქტურის და, რაც მეტად მნიშვნელოვანია ჩვენს პირობებში, სახელმწიფო შეკვეთების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ინვესტიციების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება ბაზრის მარკეტინგული გამოკვლევების და ბაზრის მიერ შემოთავაზებული ინოვაციების შედეგად (ეტაპი B).

სახელმწიფო ამ ეტაპზე ინვესტიციური პროცესის რეგულირებაში მონაწილეობას იღებს ხელსაყრელი მაკროეკონომიკური გარემოს შექმნის მეშვეობით, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნით, მასტიმულირებელი საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებით.

თავისუფალი ფულადი რესურსების მოზიდვა ხორციელდება დანაზოგების ბაზარზე მათი ღირებულების და ვადების განხილვის შედეგად (ეტაპი C). სახელმწიფოს როლი ამ ეტაპზე გამოიხატება საფინანსო სისტემაში მოსახლეობის დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მოზიდვისათვის პირობების შექმნაში.

აღნიშნული ღონისძიება მოიცავს საბანკო სისტემის გაძლიერებას, მოსახლეობის დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვას, ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილიზაციას, ახალი სადეპოზიტო ინსტრუმენტების დანერგვას, საპენსიო და სადაზღვევო სისტემის განვითარებას და სხვა.

ინვესტირებისათვის ობიექტის შერჩევა ეფუძნება კაპიტალის ბაზარზე კონკრეტული საინვესტიციო ინსტრუმენტების ანალიზს (ეტაპი D). სახელმწიფოს შეუძლია მიმართოს ეს პროცესი საჭირო მიმართულებით საფინანსო-საბანკო სისტემის, მათი ინსტიტუციონალური სტრუქტურის და ახალი სახეობის საფინანსო პროდუქტების განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნის საფუძველზე.

საინვესტიციო პროცესის კლასიფიკაციის ეტაპები

შინაარსის, ბაზრების და სფეროების მიხედვით მისი საფინანსო რეგულირების მიზნით აღნიშნული ღონისძიებებით სახელმწიფო ზეგავლენას ახდენს საპროცენტო განაკვეთების დონეზე, საკრედიტო და სავალუტო რისკებზე, ამცირებს გადასახადების განაკვეთებს და აწესებს საგადასახადო შეღავათებს, მათ შორის დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმებს, ასევე ხელს უწყობს მეცნიერების და ტექნიკის, ინფრასტრუქტურის განვითარებას და სხვა.

მაქსიმალური ინვესტიციური ეფექტის მიღებას უზრუნველყოფს წარმოების ყველაზე მეტად პროგრესული ტექნოლოგიების და დარგების შერჩევა, უახლესი ტექნიკის და ტექნოლოგიების გამოყენება (ეტაპი E). ინვესტიციებით გამოწვეული ეფექტის რეალიზაციის უზრუნველყოფა ხორციელდება უფრო მწარმოებლური საწარმოო სიმძლავრეების შექმნით, რომლებიც ზრდიან წარმოების კონკურენტუნარიანობას (ეტაპი F). ამ ეტაპზე მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ: 1. დაგროვების ოპტიმალური ნორმის დასაზუსტება; 2. მონაწილეობის მიღება ახალი ინვესტიციების დაფინანსება-დაკრედიტებაში.

სათანადო დონის საინვესტიციო ეფექტი მიიღწევა სასაქონლო ბაზრებზე ფასების და მოთხოვნა-მიწოდების შეცვლის დასაბუთებული ღონისძიებების განხორციელების მეშვეობით, ხოლო შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს სავალუტო, ფულადი და საკრედიტო ბაზრების განვითარების ტენდენციების აღრიცხვა, კერძოდ, საპროცენტო განაკვეთების და ინფლაციის განსაზღვრა. საწარმოთა მიერ საინვესტიციო საქმიანობის შედეგად მიღებული თანხების საწარმოო მოთხოვნილებისათვის გამოყენებას სახელმწიფო ხელს უწყობს საინვესტიციო საქმიანობაზე გადასახადების შემცირებით, გრძელვადიანი დეპოზიტებიდან მიღებული თანხების გადასახადებიდან განთავისუფლებით და სხვა (ეტაპი G).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სრულყოფილი საინვესტიციო პროცესის არსი მდგომარეობს იმაში, რომ: პირველი, ზევით აღნიშნული ეტაპები გარკვეული დროის განმავლობაში თანმიმდევრულად მეორედბოდეს; მეორე, თითოეული ეტაპის განხორციელება წარმოადგენს საინვესტიციო პროცესის შემდგომი განვითარების საფუძველს; მესამე, საინვესტიციო პროცესის წარმატებული განხორციელებისათვის აუცილებელია ყურადღება მიექცეს თითოეული ეტაპის განხორციელებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. ბარათაშვილი, რ. ქუთათელაძე, ლ. გვაჯაია, გ. ყურაშვილი. საინვესტიციო მენეჯმენტი. თბილისი 2011.
2. Лапыгин Ю.Н., Балакариев А.А. Инновационная политика. М.2005г.
3. Идрисов А. Б., Картышев С. В., Постников А. В. Стратегическое планирование и анализ эффективности инвестиций. М.: Информационно-издательский дом «Филинь», 2006 .
4. Ritchie J.C.Jr. Fundamental Analysis: A Back to the Basics Investment. USA:Prentice Hall, 1996.